№ 245 ნოემბერი 24, სამშაბათი — 1887 — ნოემბერი 24, სამშაბათი № 245

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა. ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჰილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 23 ნოემბერი

კარგა ხანია, რაც რუსეთი დიდის ეჭვით შეჰყურებდა და კიდევაც შეჰყურებს გერმანიის მეგობრობას და მომხრეობას. რუსეთის მწერლობა მუდმივ აფრთხილებდა მართებლობასა და საზოგადოებას და უფრო იმასა ჰქადაგებდა, რომ გერმანიას არ შეუძლიან რუსეთს უერთგულოს, თუმცა რუსეთს განზრახვა აქვს გერმანიასთან კარგი განწყობილება დაიჭიროს. თვით განსვენებულმა კატკოვმაც-კი, რომელიც თაყვანსა სცემდა ბისმარკის გენიოსობას და ჰქადაგებდა რუსეთისა და გერმანიის კავშირსა, უკანასკნელს ხანს თავისის მოღვაწეობისას, უარ-ჰყო წინანდელი აზრი გერმანიის შესახებ, ხელი გაუწოდა გერმანიის მოსისხლე მტერს—საფრანგეთს და სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად ხმა-მაღლა ჰქადაგებდა, რომ საფრანგეთია ერთად-ერთი ერთგული მოკავშირე რუსეთისა, რომ ბისმარკი, მიუხედავად რუსეთის გულ-წრფელის მეგობრობისა, მაინც სცდილობს რუსეთის პოლიტიკას ხელი შეუშალოს და სხვა.

მართლაც რომ ამ უკანასკნელს ხანს რუსეთის საზოგადოება და მწერლობა ამ აზრს დაადგა. საფრანგეთმაც რუსეთისაკენ გამოიწია და სხვა-და-სხვა დონე იხმარა რუსეთთან დაახლოვებისათვის. საქმე იმ რიგად მოეწყო, რომ კავშირი რუსეთსა და საფრანგეთს შორის დალაც მოსალოდნელი იყო. ამასობაში გერმანია ცდილობდა, ხელი შეეშალა რუსეთისა და საფრანგეთის შეკავშირებისათვის.

გერმანიის საქციელი და განზრახვა რუსეთში ყველას საეჭვოდ ეჩვენებოდა; თითქმის ყველა იმასა ჰფიქრობდა, რომ რუსეთი საფრანგეთს უნდა მიემხროს და არა გერმანიასაო. მართალია, გერმანიის ზოგიერთი ოფიციოზური გაზეთები სწერდნენ, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის კავშირი ისტორიის ანდერძიაო, მაგრამ რუსეთის კაბინეტი არც ამას უჯერებდა. თურმე ამ კაბინეტის ხელთა ჰქონია ყველა იმ ქაღალდების და დეპეშების პირები, რომლებსაც ბისმარკი სწერდა გერმანიის სხვა-და-სხვა წარმომადგენელთ. ამ ქაღალდებიდგანა სჩანს, რომ გერმანია ერთის მხრით, რუსეთს ეუბნებოდა—შენი მეგობარი და მომხრე ვარო, და მეორე მხრით თავიანთ წარმომადგენლებს რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგად ამოქმედებდა. ეს ამბავი ამ ჟამად კიდევაც გამოუქვეყნებიათ და დიდი შფოთი და ლაპარაკი ატეხილა მწერლობაში. ეს ამბავი გამოუქვეყნებიათ მას შემდეგ რაც ხელმწიფე იმპერატორმა, როცა დანიიდგან პეტერბურგს მობრძანდებოდა, ინახულა სხვათა შორის თავადი ბისმარკიც. რასაკვირველია, ბისმარკს არაფრად ესიამოვნებოდა, როცა შეიტყობდა, რომ რუსეთის კაბინეტს იმისი დეპეშები და წერილები ხელში ჩაუგდია. ამ გარემოების გამოცხადება მეტად გასაოცარი იყო, მაგრამ არა ნაკლებად საკვირველი და მოულოდნელი იყო, როცა ბისმარკმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ის დეპეშები და ქაღალდები ყალბია და შეუდგენიათ იმათ, რომლებიც მოწადინებულნი არიან რუსეთსა და გერმანიას შორის ომი გამოიწვიონო. ზოგიერთებმა იმ ქაღალდების შედგენა დააბრალეს ფერდინანდს კობურგისას და იმის დედას, მაგრამ ამათ ხმა მაღლა აღიარეს, რომ ეს ცილის-წამებააო. ეხლა გამოძიება უნდა დაინიშნოს იმ ქაღალდების სიყალბისა თუ სინამდვილის დასამტკიცებლად. ასე გასინჯეთ, ბევრს არა სჯერა ბისმარკის სიმართლე და იმის ხრიკსა და ოინსა ჰხედავენ. ამბობენ, რომ ბისმარკი ისეთი კაცია, რომელსაც შეუძლიან, თუ მოინდომა, ნამდვილის ქაღალდების ყალბობა დაამტკიცოს, და თუ ეს, ვინიცობაა, ვერ შესძლო ბისმარკის ოსტატობამ, მაშინ გერმანიის მართებლობა, თავისის სახელის აღსადგენად და რუსეთის გულის მოსაპოვებლად, იძულებული იქმნება რუსეთს მიემხროსო.

ყალბია თუ არა ის ქაღალდები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ზოგიერთები-კი დიდს ეჭვში არიან, რადგანაც იმ ქაღალდებმა დიდი ზედ-მოქმედება იქონიეს რუსეთის პოლიტიკაზე. თუ ის ქაღალდები ყალბია, წინად რატომ არ გამოაცხადეს, მაშინ, როდესაც იმ ქაღალდების მიხედვით მოქმედებდნენ ზოგიერთა სახელმწიფოთა წარმომადგენელნიო?

## ახალი ამბავი

*** საკვირაო გაზეთ „Іллюстрированный Міръ“-ში № 45 ჩვენა ვნახეთ დაბეჭდილი თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსი, ქართულიდგან გადათარგმნილი რუსულად იაკ. ივაშკევიჩის მიერ. მოგვყავს ეს ლექსი ქართულადაცა და რუსულადაცა. ქართულად:

როს ბულბული ვარდს შეჰსტრფოდეს,
უგალობდეს, შეჰხაროდეს,
მაშინ ყვავსა რად არ ჰსცხვენის,
რომ მათ შორის საზღვრად დასჯდეს?..

რუსულად:

Когда любовно напѣваетъ
И нѣжно, радостно внимаетъ
Цвѣточку чудный соловей,—
Тогда зачѣмъ вдругъ прилетаетъ,
Садится тамъ и имъ мѣшаетъ
Ворона съ наглостью своей?..

*** აი კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი. ზემოხსენებულსავე გაზეთის იმავ ნომერში დაბეჭდილია ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სურათი და მცირე ბიოგრაფია. ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ ეპისკოპოსმა გაბრიელმა სწავლა შეასრულა ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში და მაგისტრის ხარისხი მიიღო 1849 წ. პირველად ტფილისში დანიშნულ იქმნა სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და ღვთის-

## ფელეტონი

### უბედური ქმარი

(ეტიუდი)

დაბინდდა. ცხელი ზაფხულის დღე შესცვალა გრილმა მშვენიერმა საღამომ, რომელსაც თან მოჰყვა ქორფა სულის ჩამდგმელი ნიავი. მუქს ცის ლაჟვარდზედ ერთმა მეორეზედ იწყეს კაშკაში ვარსკვლავთა და ბოლოს ერთბაშად აენთნენ და მთლად გადასჭედეს ცის კამარა. მალე მთვარემაც მორცხვად ამოჰყო თავი მთებს გადაღმა და მოჰფინა არე-მარეს თავისი ვერცხლებრივი სხივები.

ეს ტურფა საღამო უნებლიედ იწვევდა კაცს სასეირნოდ, სუფთა გრილის ჰაერის ჩასაყლაპავად. მე საზოგადოდ ძალიან მიყვარს მარტოდ-მარტო ქალაქს გარედ გასეირნება და ამ საღამოს-კი, რაღა თქმა უნდა, უფრო მომეტებულის სიამოვნებით დავემორჩილე ჩემს ჩვეულებას: დავადექი გზა-ტკეცილს, რომელიც ჩვენს პატარა ქალაქსა და რკინის გზის სადგურს შუა არის გაყვანილი, და მივეც თავი ჩვეულს ფიქრებსა და ოცნებათა.

მე მივდიოდი ნელის ნაბიჯით თავდახრილი; მხოლოდ დრო-გამოშვებით ავილებდი ხოლმე თავს მაღლა, რომ დავმტკბარიყავ მთვარის ნაზის სხივებით და ურიცხვ ვარსკვლავებით გაბრწყინვალებულის ცის ხილვით. ერთს ამ წამთაგანს მე თვალი მოვკარ ციდამ მოწყვეტილს და დაულეველს სოფლის სივრცეში გამქრალს მცირე ვარსკვლავსა... ჟრუანტელმა დამირბინა მთელს სხეულში... საკვირველია! სწორედ ამ დროს ვფიქრობდი ერთს ჩემს კარგს ნაცნობ ყმაწვილს კაცზე... თუმცა ცრუ-მორწმუნეობა*) სასაცილო ნაკლულევანებად და გონება გაუხსნელ ადამიანის კუთვნილებად მიმაჩნია, მაგრამ იმ წამს—უნდა გამოვტყდე—რაღაც აუხსნელმა და იდუმალმა შიშმა დაიპყრო ჩემი არსება: გული დამისუსტდა და თავ-ბრუ დამესხა. ის-ის იყო წაქცევას ვლამოდი, რომ თავისთვის მალე არ მეშველა და იქვე გზის პირას არ ჩამოვმჯდარიყავ. მსწრაფლად თავიდამ ქუდი მოვიგლიჯე; გრილი ნიავი მოხვდა ჩემს გახურებულს შუბლს და მალე გონზე მომიყვანა. იმ დროს ჩემს თავზე მეტად გაჯავრებული ვიყავი და, სწორე გითხრათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, თავს გავიწკეპლავდი; ჩემის თავისა მე თვითონ შემრცხვა... ოჰ, რა ლაჩარი ყოფილხარ!—ვსთქვი გუნებაში და თავის მოსატყუებლად მსწრაფლად ზეზე წამოვხტი და ისევ შარას დავადექი. მაგრამ ამ ნაძალადევმა სითამამემ ვერ დამიხსნა იმ წყეულ გაუგებარ შიშისაგან. მე-კი სულ წინ მივდიოდი და მივდიოდი, უფრო აჩქარებულის ნაბიჯით და გულის-ცემით. საშინლად მინდოდა იმ დროს ვისმეს შევყროდი ამ წყეულს გზაზე, გამოველაპარაკებოდი...

— რომ არავინა სჩანს! საკვირველია, საკვირველი! ვამბობდი გაბრაზებული.—ამ ქალებს რაღა დაემართათ? რაღა მაინცა-და-მაინც დღეს მოემალათ „ცუნცრუკის“ იშტა? წინაზე ხომ თოკითაც ვერ დაიჭერდი იმათ სახლში! სწორედ „კავალერები“ დაუხდათ ავად ციებ-ცხელებით... და აბა „უკავალეროდ“ რა შნო აქვს სეირნობასა?..

ოჰ, მადლობა შენ, ღმერთო! აი იქ, ჩემ წინ, თუ არა ვცდები, ვიღასიც აჩრდილი მოჩანს... დიალ, დიალ... ძალიან ჩქარა-კი მირბის... ეტყობა, სასეირნოდ არ გამოსულა. აბა, დავ წიო ერთი. მე გავუჩქარე სიარულს, მაგრამ ის კიდევ ჩემზე უფრო ჩქარა მიდის, მიდის-კი არა—მირბის... აბა, ერთი დავუძახო, იქნება გავაგონო... ჰეი, ჰეი, ჰეი!—შენც არ მომიკვდე... არც-კი მოიხედა,—მირბის და მირბის... სწორედ გიჟია ვიღაცაა! წყლის ხმამაც მოატანა, თავს ხომ არ ირჩობს? არა! იმან გადაუხვია გზას მარჯვნივ და შევიდა პატარა ცხილნარში, რომელიც მდინარის პირს აკრავს.

— ვეი! ეს ხუმრობა აღარ არის! იქნება ტყეში ჩაისაფრა და ჩემს გავლას უცდის, რომ... მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მე მტრები არ უნდა მყავდეს... მაშ ვინ ჯანდაბაა, რას აპირებს?..

ახლა-კი შიშმა მთლად ამიტანა... თმები ამებურძგა... კანში თითქოს მილლიონი ჭიანჭველა დამიძვრებოდა, გული გამოსკდომას ლამოდა, ისე მაგრად მიცემდა... რამდენისამე წამის შემდეგ თოფის თუ ფიშტოს გრიალი გაისმა, შემდეგ ეს საშინელი სიკვდილის მომასწავებელი ხმა მახლობელ მთებმა და ტყეებმა განიმეორეს და დადუმდა ყოველივე...

— სწორედ თავი მოიკლა ვიღაც იყო,—გამიელვა აზრმა და გიჟივით გავექანე ტყისაკენ. ცალკე შიშისა და ცალკე დაღლილობისაგან ატეხილის ქშენით და გულის ბრაგუნით მივუახლოვდი იმ საშინელს ადგილს და სმენად გარდავიქეც... ჩამი-ჩუმი არ იყო... მხოლოდ ხანდისხან უეცრად ამოჭრილი ნიავი ფოთლებს აშრიალებდა და ისმოდა განუწყვეტელი ჩქრიალი იქვე ჩამომრბენ მდინარისა... მე კიდევ წავსდგი წინ რამდენიმე ნაბიჯი და დავუგდე ყური... ახლა-კი ნათლად მომესმა სუსტი კვნესა... რაც უფრო წინ მივდიოდი, მით უფრო გარკვევით მესმოდა ეს ხმა. ბოლოს შევედი ტყეში და მთვარის შუქზე, რომელიც რაღაც იდუმალებით ფოთლებს შუა შეპარულიყო, შემდეგი საშინელი სურათი ვიხილე: ხის ძირს გაშხლართული იწვა ჩემი კარგი ნაცნობი ახალგაზდა კაცი, რომელზედაც მე სეირნობის დროს ვფიქრობდი; ხელები ულონოდ დაეყარა მიწაზე, გვერდით ეგდო რევოლვერი, რომლის ჯერ კიდევ თბილი ლულა საშიშრად ელავდა მთვარის შუქზე; გულიდამ და პირიდამ საბრალოს სისხლი მოასხამდა, რომელსაც მთლად შეეღება იმისი თეთრი საზაფხულო ტანისამოსი.

—ვანო! რა ჩაგიდენია, შე საბრალო?.. შევყვირე შესაზარის ხმით, როცა ვიცანი, და დავიჩოქე; მსწრაფლად ცხვირსახოცი დავადევი ჭრილობაზე, რომ ცოტათი მაინც შემეჩერებინა სისხლის მდინარება.

იმან თვალები გამოალო და ძალდატანებულის ღიმილით შემომხედა.

— გვიან, ერთობ გვიან მოხვედი, ჩემო კარგო!.. მითხრა დასუსტებულის ხმით.—შენი ხელობა ველარას მიშველის... მხოლოდ ერთი წყალობა მიყავი, განაგრძო ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.—ადრიანად სახლში მიმიტანე... მინდა უკანასკნელად ვნახო ის...

— ვინ „ის“? დავეკითხე განცვიფრებით.

— ის, ვინც არის მიზეზი ჩემის სიკვდილისა.

— არ მესმის. ვინ უნდა ნახო შენს სახლში შენის ცოლის მეტი?

— არავინ, იმის მეტი.

— როგორ! შევყვირე აღელვებულის ხმით. ნუ თუ ის, ძვირფასი საგანი შენთა წმინდა გრძნობათა, არის მიზეზი ამ საშინელის ცოდვის ჩადენისა?

პასუხის მაგიერ საბრალომ მწარე ღიმილით ოდნად თავი დაიქნია.

დროს დაკარგვა შეუძლებელი იყო:

*) ჩვენს ხალხში ჰფიქრობენ, რომ ვარსკვლავის ჩამოვარდნა უთუოდ ვისმეს სიკვდილს მოასწავებსო.

მეტყველების და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. თუმცა ამდენი საქმე ჰქონდა, ეპისკოპოსი გაბრიელი მაინც ბევრსა შრომობდა და კითხულობდა წიგნებს ფილოსოფიურსა, ფსიხოლოგიურსა, ფიზიკისას და სამღვთის-მეტყველოს. ამ გვარს შრომას ნაყოფად ის მოჰყვა, რომ რუსულს ენაზედ დასწერა „Опытная психологія“, რომელიც დაიბეჭდა 1858 წელს და სასწავლებლებში პსიხოლოგიის შესასწავლ სახელმძღვანელოდ იქმნა მიღებული. 1854 წ. ეპისკოპოსი გაბრიელი მღვდლად აკურთხა ეგზარხოსმა საქართველოსამ, ეხლა ს.-პეტერბურგის მიტროპოლიტმა ისიდორემ, და ამასთან გაბრიელმა სემინარიის პროფესორისა და ამიერ-კავკასიის კეთილშობილთა ქალთა ინსტიტუტის სამღვთო-წერილის მასწავლებლის თანამდებობათ თავი დაანება. სულ ცოტა ხანში ცოლ-შვილი დაეხოცა და 1858 წ. ბერად შევიდა გაბრიელის სახელით; ამის მეორე წლის 6 იანვარს არხიმანდრიტის ღირსება მიეცა, 6 დეკემბერს ეპისკოპოსად აკურთხეს და საქართველოს საეგზარხოსოს ვიკარად დანიშნეს. დასასრულ 1860 წელს დანიშნულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსად, სადაც ამ ჟამად არის და თავის ბრძნულის გამგეობით აგერ 27 წელიწადია კათედრას ამშვენებს. ყოვლად უსამღვდელოესო გაბრიელმა რიგზედ მოიყვანა იმერეთის არეული ეპარხია. ეპისკოპოს გაბრიელის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ 18,000-მდე აფხაზთ მართლ-მადიდებლობა მიიღეს. ყოვლად უსამღვდელოესო დიდის მოწიწებით სწირავს და თითქმის ყოველ წირვის შემდეგ სიტყვას წარმოსთქვამს ხოლმე ეკკლესიაში და ქადაგებს; ეს სიტყვანი ორ წიგნად არის დაბეჭდილი და სამჯერ იქმნა გამოცემული. ამ ქადაგებათ მიიქციეს ყურადღება ინგლისის მისიონერთა და ამ მისიონერთ გადათარგმნეს ინგლისურს ენაზედ, თუმცა ინგლისში სამღვთის-მეტყველო ლიტერატურა მეტად გავრცელებულია და უმაღლესს წერტილამდე აყვანილი. რაღა თქმა უნდა, მთელის საქართველოს საეგზარხოსოს სამღვდელოება ამ ქადაგებათ კითხულობს კვირა და უქმე დღეს ეკკლესიებში. ეპისკოპოსის დაუღალავის შრომის ნაღვაწი ყველამ იცის, ყველას მოეხსენება: გაბრიელის განკარგულებით რამდენიმე ასი ხისა და ქვითკირის ეკკლესიაა აგებული იმერეთში. გაბრიელისავე თანაშეწევნით აშენდა ქუთაისში მშვენიერი საკათედრო სობორო, უშველებელი სადგომი სასულიერო სასწავლებლისათვის და გაიმართა 100-მდე სამრევლო სკოლა. ეპისკოპოსმა დააარსა საზრუნველო იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების წოდების ღარიბთათვის და იმისსავე შემწეობით ღარიბნი მღვდელნი ფეხზედ წამოდგნენ, რაკი ხაზინიდგან ჯამაგირი დაენიშნათ. ეპისკოპოს გაბრიელმავე თავის ხარჯით ააშენა თავის სამშობლო სოფელ ბახვში მშვენიერი სამრევლო ეკკლესია და ორ-კლასიანი სასწავლებელი დააარსა.

⁂ კვირას, 22 ნოემბერს, დილის 8 საათზედ, „კავკაზის“ სასტუმროს წინ ქუჩის მისახვევში გამალებულმა ეტლმა გაიტანა ოთხი კაცი. დაშავებით არა დაშავებიათ-რა, თუმცა ყველანი ეტლს ქვეშ მოჰყვნენ.

ერთის საათის შემდეგ კიდევ სხვა ეტლმა გაიტანა ამავე ადგილზე ერთი მუშა კაცი. თუმცა ესეც რაღაც მანქანების ძალით დაუმტვრეველი გადარჩა, მაგრამ დიდად საჭიროა აეკრძალოთ მეეტლეებს ამ გვარი გაუფრთხილებელი ქენება მისახვევ ქუჩებში, მეტადრე სადაც ხალხი ბლომად დაიარება.

⁂ 23 ნოემბერს, დილის 7—8 საათზე, ორი ჩხუბი მოხდა იარმუკაში, სადაც ხელოსნები და მუშები იყრიან თავს დილ-დილაობით. მიზეზი ჩხუბისა იგივე იყო, რომელზედაც ჩვენს გაზეთში არა ერთხელა გვქონია ლაპარაკი. იარმუკის ბაყლები ტროტუარებზე აწყობენ გოდრებით და თაფხებით მწვანილსა და მუშა ხალხს დასადგომი ადგილი თითქმის აღარა რჩება. გამვლელ-გამომვლელს ხომ სრულებით შეკრული აქვს გზა. ვაჭრები ხან ერთს მუშასა ჰკრავენ ხელსა და ჩაარტყამენ თავში, ხან მეორეს—გზა ქენითო. განაწყენებულმა მუშებმა ხელი გამოიღეს ორჯელა და ორჯელვე ჩხუბი მოხდა. პოლიციელიც № 73 მუშებს ამტყუნებდა და თან, რაც ვაჭრებმა ცემა დააკლეს, ერთი სამად უსრულებდა.

⁂ ჩვენ ადრევე ვწერდით იმ არხის უადგილობაზე, რომელიც მირზოევისეულ ფაბრიკას არტყია გარსა. არხი სიგძით 50 არშინია და სიგანით არშინ ნახევარი. ამ წინაზე ხსენებულ არხს გადააფარეს ფიცრები, მაგრამ საკვირველია, რომ ფარსაგ ფიცრის მაგიერ სულ დამპალი ფიცარი გადაახურეს და ზევიდამაც წააყარეს მიწა. ჩვენ ეჭვი განვაცხადეთ ამ ფიცრების სიმკვიდრეზედ და აგერ მართლაც ეხლა გვაცნობეს, რომ ფიცრები ჩაინგრა და, როგორც ეტყობა, დიდხანს დასტოვებენ გაუკეთებელსა.

მაშასადამე, კიდევაც ბევრი ეტლი ჩაიჩეხება და მრავალი მგზავრი ჩავარდება ამ არხში, ვიდრე ეხლანდელი პატრონი ფაბრიკისა, ბ-ნი ჩითახოვი, ხელ-ახლად არ დაჰხურავს არხსა და დამპალ ფიცრის მაგიერ სალს ხე-ტყეს არ დახარჯავს ამ საგანზე.

⁂ 21 ნოემბერს, შაბათს საღამოზე, კუკიაში, ანდრიას ქუჩაზე, ქართულ საქალაქო სკოლაში ბუნდოვანი სურათები გაუმართეს შეგირდებსა. მოთავე ამ საქმისა არიან რამდენიმე მასწავლებელი ქალი, რომელნიც მუქთად უმართავენ ყმაწვილებს ამისთანა სანახავებსა. რადგანაც ბევრმა არ იცოდა, სად იქნებოდა გამართული ბუნდოვანი სურათები, ამიტომ შეგირდები ცოტანი იყვნენ. სასწავლებელში წარმოადგენდნენ სურათსა და შემდეგ უხსნიდნენ ყმაწვილებს, რაც სურათებზე იყო გამოყვანილი. უნდა შევნიშნოთ, რომ სურათები ვერ იყო კარგად ამორჩეული და ყმაწვილთა გულის მოთხოვნილებასთან შეთანხმებული.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამხედრო საპატიმრო მეტეხის ციხიდამ გადაუტანიათ ვარანცოვის ქუჩაზე, იედიგაროვის სახლებში.

⁂ სოფ. ველისციხე (სიღნაღის მაზრა): დიდი ხანია მას აქეთ, რაც კახეთში ხმა გავარდა, ვითომ მთავრობას აზრადა აქვს გაუმართოს თელავისა და სიღნაღის მაზრებს საერო სამკურნალოები. როდის აღსრულდებოდა ეს კეთილი აზრი, ან რომელს სოფელს დაატყდებოდა თავზე მოულოდნელი ბედი და იღბალი, არავინ იცოდა. როგორც ისმოდა, ეს სამკურნალო უნდა გაემართათ მომავალ წლიდამ ან სოფ. ველისციხეში, ან გურჯაანში. ამიტომაც ველისციხის საზოგადოება ყურ-ფხიზლად იყო, რათა ამისთანა ბედი ხელიდგან არ წასვლოდა, თუმცა-კი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა სოფ. გურჯაანს არ ამოირჩევდა რადგანაც ველისციხე უფრო მომარჯვებულია სამკურნალოსათვის. ეხლა, როგორც გავიგონეთ, მთავრობას გურჯაანში სამკურნალოსათვის მოხერხებული სადგური სახლი ვერ უშოვნია, რის გამოისობითაც მოჰმართა სოფ. ველისციხეს. აქ თორმეტი ოთახი უფასოდ დაუთმეს ერთის წლის ვადით. როგორც ამბობენ, სამკურნალოს უნდა ჰყავდეს ერთი მკურნალი, სამი ფელშერი და ერთიც ბებია; სამკურნალო დაიწყებს მოქმედებას მომავალ წლიდამ. რამდენის ავადმყოფის საწოლი იქნება ამ სამკურნალოში, ან როგორ იწარმოებს ეს სამკურნალო, კვლავ შეგატყობინებთ.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თ. ა. ზ. ჯანდიერიშვილი, კ. ფირადოვისა, კიდევ კ. ფირადოვისა, ი. ბ. ოლანოვი, ი. ი. ოლანოვი და მამასახლისი ამ სოფლისა, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ის ჩვიდმეტი კაცი, რომელთაც მთავრობას აღუთქვეს უფასოდ დახმარება

---

ყოველი წუთი აკლებდა ღონეს და სიკვდილს უახლოვებდა. ჯარის-კაცების შემწეობით, რომელნიც იქვე ახლოს იყვნენ დაბანაკებულნი, ტახტრევანდზე დავდევი და სახლში წავიღე. ჩვენ ნელა მივდიოდით. დაუსრულებელად მეჩვენებოდა ეს სამწუხარო სიარული. ბოლოს როგორც იქნა სახლამდე მივაღწიეთ. მე ავედი აივანზე და კარს მოვეწიე, მაგრამ კარი ჩაკეტილი დაგვხვდა. რამდენჯერმე დარახუნების შემდეგ კარები გაგვიღო ახალგაზდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის მშვენიერმა ქალმა.

მე წინ-და-წინ შევედი, რომ მომემზადებინა ცოლი ამ უბედურის შემთხვევის მოსასმენად.—ელენე, თქვენი ქმარი... დავიწყე მე და ვეღარ დავასრულე,—ენა ჩამივარდა.

— ჩემი ქმარიო!.. რა დაემართა, რა ამბავია?.. მკითხა ქალმა ათრთოლებულის ხმით, ხელები აჩქარებულის მოძრაობით მხრებში მტაცა და თვალებში ჩამაცქერდა, თითქო სურდა პასუხი ამოეკითხა.

ამასობაში დაჭრილის მომტანთ კარების მეორე ნახევარი გააღეს და შემოიტანეს ის კაცი, რომელმაც ტყვია დაიძგერა გულში ამ ქალის მიზეზით და რომელსაც უკანასკნელის წუთის გატარება მაინც „ამასთანა“ სურდა.

— ოჰ, ღმერთო! ეს რა ამბავია ჩემს თავზე! სასო-წარკვეთილის ხმით დაიღრიალა ახალგაზდა ქალმა, რა დაინახა სისხლში მოსვრილი და თითქმის გრძნობა-დაკარგული ქმარი, მიირბინა დაჭრილთან და აცახცახებულის ხელებით აუწია დახურული ქუთუთოები, რომელნიც ისევ ძირს დაეშვნენ.

— მოკვდა განა? მითხარით!.. აღარაფერი ეშველება?.. სულ არაფერი?.. ამბობდა საბრალო ქალი ხელების მტვრევითა და ცრემლების ღვრითა.

— არაფერია! დამშვიდდით! მალე გრძნობაზე მოვა, ვანუგეშებდი მე.

დაჭრილი ლოგინზე დავაწვინეთ. თუმცა გადარჩენის იმედი აღარ იყო, მაგრამ მე ყოველი საშუალება ვიხმარე, რომ დროებით მაინც გრძნობაზე მომეყვანა. ცოტა ხნის შემდეგ თვალები გამოაჭყიტა და აბნეულად აქეთ-იქით მზერა დაიწყო. ბოლოს თვალები გაჩერა ახალგაზდა ქალზე, რომელიც ლოგინთან იჯდა და ჩუმად სტიროდა. კარგა ხანს დაშტერებით უცქეროდა თავის ცოლსა, თითქოს უნდოდა იმის მშვენიერის სახის ნაკვთები სამუდამოდ გულში ჩაებეჭდა.

— ელენე! წარმოსთქვა მომაკვდავმა ბოლოს სუსტის, ძლივს გასაგონის ხმით.—ვგონებ არა ვცდები: შენს ქუწუნა თვალებში ცრემლებსა ვხედავ... ნუ სტირი!.. წინად, წინად მჭიროდა მე შენი ცრემლები, როცა ცოცხალი ვიტანჯებოდი, როცა ჯოჯოხეთური ცეცხლი სწვავდა, სთუთქავდა ჩემს გულს... რომ გაეგრილებინათ და მოელბოთ ის, როგორც აგრილებს და ალბობს ხოლმე ციური ცვარი გოლვისაგან დამსკდარს, გახურებულს ნიადაგს... მაშინ შენი თვალები გამშრალი იყო... შენი გული არას ამბობდა... ეხლა-კი სულ ერთია... ტირილი ვეღარას მიშველის...

სთქვა და შეჩერდა ცოტა ხნით, რომ სული დაეღო. აჩქარებული სულთქმა, უზომოდ ცხვირის ნესტოების ბერვა, მკრთალი, თითქმის ცვილის ფერი სახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მეტად დასუსტებული იყო. საშიშარი მდგომარეობა თანდათან მატულობდა.

— დაჯექი აქ, ჩემს წინ... მიუბრუნდა ისევ მომაკვდავი თავის ცოლს. —მინდა უფრო კარგად დავინახო შენი სახე...

ახალგაზდა ქალმა დაიდგა სკამი და ცრემლების წმენდით დაჯდა ქმრის წინ.

— მოიტა ხელი! გახსოვს, ელენე,—განაგრძო იმან—მას აქეთ ხომ სულ სამი თვეც არ გასულა... გახსოვს, როცა ჩვენ გვირგვინის ქვეშ ერთი მეორის გვერდით ვიდექით საკურთხევლის წინ... რა ამაყად ვუცქეროდი მე მაშინ საყდარში სასეირნოდ მოსულს ხალხსა!... მეგონა, რომ ერთიც არ მოიძებნებოდა ჩემისთანა ბედნიერი კაცი... მე მიყვარდი შენ, ელენე, გატაცებით... თავ-დავიწყებამდე... უძლიერესის და უწმინდესის გრძნობით... შენ გეკუთვნოდა მთელი ჩემი არსება, სული და ხორცი, გრძნობა და გონება... უბედნიერესს კაცად ვთვლიდი ჩემს თავს ქვეყანაზე... დრო და სივრცე ჩემთვის არ არსებობდა,—წარსულს აღარ ვიგონებდი, აწმყოზე არა ვფიქრობდი, მომავალი არ მაშინებდა... სამშობლო ჩემი იქ იყო, სადაც შენ თანა მყავდი, საცა შენი ნაზი ხმა მესმოდა... შენს მომხიბლავს ღიმილს ვხედავდი... შენს გიშერსავით შავს თვალებში ვიჭვრიტებოდი... მეგონა, რომ შენც ისე გიყვარდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი...

ამ უკანასკნელ სიტყვებზე შევამჩნიე, რომ ახალგაზდა ქალის ხელი, რომელიც მომაკვდავს ეჭირა, უეცრად ათრთოლდა და სახესაც შიშის და თანაც განცვიფრების გამომეტყველება დაედო.

— დიაღ, თურმე ვცდებოდი... განაგრძო კვლავ მომაკვდავმა და ნახევრამ ის დაშრეტილი თვალები ცოლის თვალებს გაუშტერა.—სამი თვეც არ გასულა ჩვენის ჯვარის დაწერის შემდეგ, რომ შენი გული ჩემთვის ყინულსავით გაცივდა და სხვისის სიყვარულით აევსო... მიღალატე..

— კმარა, კმარა! ნუ მტანჯავ, შემიბრალე!.. ვეღარ მოითმინა და სიტყვა გააწყვეტინა მომაკვდავს საბრალო ქალმა საშინელის განწირულების ხმით; ქალი მუხლებზე დაეცა, ლოგინის კიდეზე იდაყვით დაეყრდნო და ცრემლებით მონამული სახე მომაკვდავის ქვეშსაგებში ჩარგო; მთელი იმისი სხეული საშინლად ცახცახებდა... ცხარედ და გულ-ამოსკვნით სტიროდა როგორც ბავშვი... სირცხვილისა და სინანულის ცხელი ცრემლები ნაკადულები გადმოსდიოდა თვალთაგან და სწვავდა იმის პირისახეს.

— მიღალატე... განიმეორა კვალად მომაკვდავმა; ხმა უთრთოდა აღელვებისა და სისუსტისაგან. კარგა ხანია, რაც ეჭვი შემომეპარა გულში, მაგრამ დიდხანს არ ვუდებდი თავსა... ვფიქრობდი,—ეს ჩემის ავადმყოფ წარმოდგენის ნაყოფია-მეთქი... შენის ღალატის აზრი არას დროს არ მომსვლია თავში... მაგრამ იმ საშინელ საღამოს-კი დავრწმუნდი, რომ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო არა ყოფილა... ფანჯარაში ნათლად დაგინახეთ თქვენ ორივე ერთად,— შენ კარგად იცი, ვიზედაც ვამბობ... შენ იმისთვის კისერზედ ხელები მოგხვია და ის-კი მთლად ვნებით დამთვრალი... ოჰ, არ შემიძლიან, არ შემიძლიან გავიხსენო ის ჩემი დამტანჯველი სურათი... მე უნდა მომეკლა ის მაშინ... ის-ის იყო რევოლვერიც ჯიბიდამ ამოვიღე, შევმართე... მაგრამ გონებამ გრძნობას სძლია,—და ძირს დავუშვი ხელი... არა! ვიფიქრე: იმისი სიკვდილი განა დამაკმაყოფილებს, განა დამიბრუნებს ჩემს დაკარგულს ბედნიერებას, განა იმით მოვიგებ ელენეს გულს?... სულაც არა! მაშ ისევ სჯობია იმის მოკვლას მე მოვიკლა თავი.. იქნება ელენეს მე ვაუბედურებ-მეთქი,—გადავწყვიტე და კიდეც შევასრულე...

— ოჰ, მომიტევე, მომიტევე! შევედრა მომაკვდავს ახალგაზდა ქალი შესაბრალებელის ხმით. — აპატიე ჩემს ახალგაზდობას, გამოუცდელობას... მომიტევე, მომიტევე!—იმეორებდა დაჩოქილი თავ-აუღებლად, გულ-ამომჯდარის ტირილით და ხელების მტვრევით. იმისი კუპრსავით შავი თმები დაშლილიყვნენ და სქელ-სქელ ლადოებად გარდმოჰფენოდნენ ზურგზე. მომაკვდავმა ნელა ხელი ასწია მაღლა და თავზე დაადვა ცოლსა.

— შეგინდოს მაღალმა ღმერთმა!.. წარმოსთქვა ნელისა და იმ ზომამდე დასუსტებულის ხმით, რომ ძლივს გაიგონებდი.—მე-კი დიდი ხანია მოგიტევე... სიკვდილი ყველაფერს ავიწყებს კაცსა... იყავ ბედნიერ!..

ამ უკანასკნელის სიტყვების წარმოთქმა და პირიდგან სისხლის ერთბაშად წამოსქდომა ერთი იყო. მივეშველე, მაგრამ გვიან-ღა იყო: ჩატეტკილი მარმარილოს ფერი სახე სრულიად გაუცივდა... მაჯა აღარ უცემდა... სანახევროდ დახუჭულს დიდს ლურჯს თვალებს სიცოცხლე დაჰკარგვოდათ, ამღვრეულიყვნენ.. სიკვდილმა საუკუნოდ დაავიწყა იმას ყველაფერი, შეანდობინა, აპატიებინა... აპატია თავის ახალგაზდა ცოლსაც, რომელიც ახლად გაციებულს თავის ქმრის ლეშსა სიყვარულით შუბლზე ჰკოცნიდა, იმის გასისხლიანებულს გულს მაგრად დაჰკვროდა და ცხარე ცრემლებსა ღვრიდა...

დიმ. ერისთავი

იმ შემთხვევაში, თუ რამე დასჭირდა სამკურნალოს სადგომსა.

⁎⁎⁎ გაზ. „Тиф. Листокъ"-ი გვაცნობებს: სახლის დაწვისა გამო დაპატიმრებულმა ხოსროევმა სთხოვა ოლქის სასამართლოს, რომ ცალკე ოთახში ნუღარა გყევართ დამწყვდეული, გადამიყვანეთ საზოგადო საპატიმროში და ნათესავთ მიეცით ნება ჩემთან სიარულისაო, ხოლო ოლქის სასამართლომ უარი უთხრა ამ თხოვნაზეო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზუგდიდი**, (სამეგრელო). გაზეთ „ივერიას" განუწყვეტლივ ვადევნებ თვალყურს, მაგრამ თითქმის ორი წელიწადია, რომ იმის ფურცლებზე არავითარი წერილი არ შემხვედრია ზუგდიდიდამ. ეს გარემოება, ჩემის აზრით, სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს! ნუ თუ ზუგდიდი ისეთ უმნიშვნელო მხარეს შეადგენს საქართველოსას, რომ ამაზედ ლაპარაკი არა ღირს?! ნუ თუ ისე კარგად არის აქ ყოველივე მოწყობილი და გაჩარხული, რომ გაზეთის საგზილოდ აღარა დარჩენილა-რა? შეიძლება, მართლაცასე ჰფიქრობენ აქაურნი მკვიდრნი, მაგრამ ვინც ცოტათი მაინც გაიცნობს აქაურობას, ის მიხვდება, რომ ეს სრულიადაც ასე არ არის.

მეტი არ იქნება, რასაკვირველია, ხანდახან აქაურ მკვიდრთა გამოფხიზლება მათის ავ-კარგიანობის გამოქვეყნებით. ეს სამსახური მე მინდა გავუწიო აქაურებს, და კიდევაც აღვნიშნავ ხოლმე ხანდისხან „ივერიის" ფურცლებზედ ზუგდიდის ამბებს. აი, ამ თავად, ორიოდე ამბავი. კვირას, 1 ნოემბერს, აქაური მაზრის სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისია უკვე შეუდგა თავის მოქმედებას. დღევანდელ დღეს ჰქონდა პირველი სხდომა და იყვნენ მოწვეულნი პირველ განყოფილებაში ჯარში გასაწვევად აღნიშნულნი, რიცხვით 400 კაცზედ მეტი, რომელთაგან მხოლოდ 38 უნდა გასულიყო. იმ სახლის ეზოში, სადაც კომისია იყო, 3000 კაცზედ მეტი შეგროვდა; ყველანი ერთობით იმაზედ ლაპარაკობდნენ, თუ ვის არგუნებს ბედი სამხედრო სამსახურში წასვლას. სწორედ მშვენიერსა და საუცხოვო სანახავს წარმოადგენდნენ ჭაბუკნი შვილნი კოლხიდისანი, თავიდგან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარნი. მანდილოსანთა რიცხვიც უხვად იყო, რადგანაც ზოგი შვილს გამოჰყოლოდა, ზოგი ძმას, ზოგი ნათესავს, ზოგი ნაცნობს და ზოგნი-კი ბედების სასროლად შეგროვილიყვნენ. პირველ განყოფილების ჯარის-კაცთა საქმეებმა რამდენიმე დღე გასტანა. შესრულა თუ არა კომისიამ თავისი მუშაობა, გაისტუმრა 38 ჯარისკაცი ქუთაისს, სამხედრო გუბერნატორთან, საიდგანაც ოზურგეთში უნდა გაემგზავრნენ, რადგანაც ბინა იქ ექნებათ. წასვლის დროს პრინცესა მიურატისამ გაუმართა მათ სადილი, რომლის შემდეგ გაემგზავრნენ მხიარულად და სიმღერით. საჭიროა, რომ კომისია ფრთხილად იყოს და ამ საქმეს რიგიანად ჩაუკვირდეს, რადგანაც უმეტესს ნაწილს ჯარის-კაცად გამოსაწვევთა წლოვანობის მოწმობა არა აქვს.

სამს ამ თთვისას მობრძანდა ბ-ნი მთავარ-მართებელი, რომელმაც დაჰყო სულ რამდენიმე საათი და შემდეგ ისევ გაემგზავრა უკანვე ტფილისისაკენ

ქუთათური დათიკო

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის" მე-232 №-ში წავიკითხეთ პატივცემულის გრიგოლ ბურჭულაძის წერილი ჩვენის მარად დაუვიწყარის და აწ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ნაწერთა შეკრებისა და დაბეჭდვის შესახებ. ამ წერილის ავტორი სთხოვს ყველას, ვისაც აქვს და ან სადმე ეგულება განსვენებულის პოეტის ლექსები, გამოაცხადონ თქვენის გაზეთის საშუალებით. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის შემწეობით შემდეგი ცნობა მივაწოდოთ ბ-ნს ბურჭულაძეს, რომელსაც უკისრნია იოსებ დავითაშვილის ხელთ-ნაწერების შეკრება.

ამ რამდენისამე წლის წინად იოსებ დავითაშვილმა, ქუთაისში მყოფობის დროს, დასწერა რამდენიმე ლექსი და განიზრახა მეორე *) ლექსთა კრების დაბეჭდვა. ამ საქმისთვის მოგვმართა ჩვენ, როგორც ასოთ-ამწყობლებს და გულითად მეგობრებს, და გვთხოვა შემწეობა აღმოგვეჩინა. ჩვენ სრულის თანაგრძნობით აღუთქვით უსასყიდლოდ დახმარება, მაგრამ განსვენებულს რვეულის გადმოცემისთანავე ტფილისში წასვლა მოუხდა და ამ გარემოებამ შეუშალა ხელი იმ ლექსთა კრების დაბეჭდვას. რვეულს წინ მიუძღვის შემდეგი პატარა წინასიტყვაობა პოეტისა:

„რადგანაც ჩემი პირველი ლექსთა კრება, „სტვირი", ხალხისთვის სასარგებლო საკითხავად სცნო «დროებამ» და თვით მკითხველებმა კარგად მიიღეს, ამის გამო იმედი მომეცა და ამ მეორე კრებულსაც ვბეჭდავ. გამოცემის წინად ეს კრებული გავასინჯვინე მცოდნე კაცებს, რომლებმაც დაბეჭდვის ღირსად აღიარეს. ამას გარდა კიდევ ვსთხოვ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს უმორჩილესად, რომ უყურადღებოდ არ დასტოვონ ეს ჩემი მცირე ლექსები, გაარჩიონ და ამიხსნან, რაც უმთავრესი შეცდომა მიმძღოდეს. მე მინდოდა, რომ მშვენიერის სურათებით და სხვა-და-სხვა ასოებით შემემკო ეს ლექსთა კრება, მაგრამ ვაი რომ შესაფერი სწავლა არ მიმიღია შნოიანის ასოების და სურათების მოჭრისა."

წინასიტყვაობის შემდეგ რვეულში მოქცეულია სულ ოც-და-ხუთი ლექსი, რომელთაგან ბ-ნ ბურჭულაძის მიერ ჩამოთვლილ ლექსებში არ არის ნახსენები შემდეგი ლექსები: 1) „ყვირილა" (ჩემო ყვირილავ, გაგატან ჩემს გულ-ნაღველს სტვირსაო); 2) „მონა და ბატონი" (თაყვანსა გცემ, მაშ რა გიყო?); 3) „ჩვენი ივერი" (ჩვენი ივერი ბედნიერი სამოთხის ფერი); 4) „მცხეთობას" (ძმებო ღმერთმა გადღეგრძელოთ); 5) „ქუთაისის განკვლის ოსტატებს"; 6) „ჩემს დას და მეგობარს"; 7) „სიმღერა" (მოძმისა სიყვარულმა).

სხვა ლექსთა დასახელებას საჭიროდ არა ვრაცხთ, რადგანაც ისინი შეკრებულნი ჰქონია წერილის ავტორსა. ამ მოხსენებულ ლექსებსაც ამ მოკლე ხანში გადავცემთ ბ-ნს ბურჭულაძეს ფოსტით. რაცა შეეხება კეთილს აზრს ბურჭულაძისას, რომ დავითაშვილის ნაწერები ერთად დაბეჭდოს, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ რომელიმე ამხანაგობა არ შესდგა, ან და შეგროვილ ფულით არ მოხერხდა დავითაშვილის ნაწერთა დაბეჭდვა, ამ შემთხვევაში ვითხოვთ გადმოგვცეს ის ნაწერები ასოთ-ამწყობლებს და ჩვენ შევუდგებით მათ დაბეჭდვას. ვეცდებით რაც შეიძლება, ჩვენი შრომა მცირედით დავაკმაყოფილოთ და მკითხველ საზოგადოებას იაფად მივაწოდოთ დავითაშვილის ნაწერები.

ივანე კილაძე

ქ. ქუთაისი
18 ნოემბერი

*) პირველი ლექსთა კრება იყო „სტვირი".

## გასართობი

რუდოლფ კრონპუს ამას წინად ულმში გამოუცია მეტად საყურადღებო წიგნი ხალხის მისაზიდავ განცხადებათა ისტორიაზედ. ამ წიგნიდგან ჩვენ რამდენსამე აჩირებულს და თავისებურს ამბავს ამოვწერთ.

ერთხელ მთელი ცალი პირი ნიუ-იორკის გაზეთისა ცარიელი გამოვიდა თურმე, მარტო შუაში ეწერა წვრილის ასოთი: „ეს ადგილი ბრენმანის სავაჭრო სახლმა იყიდა განცხადებისათვის, ხოლო რადგან ბრენმანის მაღაზია სავსეა მუშტრებითა, ამიტომ განცხადებას აღარა ჰბეჭდავსო".

ნიუ-იორკის ეკკლესიებში დაურიგებიათ მშვენიერი ლოცვანნი, ხოლო ამ ლოცვანის ყოველს ფურცელზედ ერთის სავაჭრო სახლის ბეჭედი ყოფილა დაკრული.

ამერიკის ერთმა მეწვრილმანემ გამოსცა თურმე დიკენსის ერთი მშვენიერი რომანთაგანი და ქეჩაში მუქთად დაარიგებინა. ამ რომანის ყოველს ფურცელზედ დაბეჭდილი იყო თურმე წვრილის ასოებით შაქრის ნიხრი, ყავისი, ჩაისა და ამ მეწვრილმანის დუქნის შოკოლადისა.

ბოსტონში ერთი „სამადლო" საზოგადოება არსებობს, რომელსაც ოთხი თერძი ჰყავს დაქირავებული. ეს თერძები ზამთარში ღარიბებით დასახლებულ უბნებში დადიან და საკუთარის მაუდით ტანთ-საცმელს უკერებენ ღარიბებსა. ეს სამადლო საქმე, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თერძთა მიერ დაკერებულ მაუდზე დაბეჭდილია თურმე განცხადებანი სხვა-და-სხვა სავაჭრო სახლებისა, ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა, აფთიაქებისა და სხვათა.

ბოსტონის რამდენსამე სავაჭრო სახლში უშოვნიათ მელოტი მოხუცებული კაცები და კაი ფასად დაუთანხმებიათ, რომ მელოტ თავზე განცხადებანი გადაიკრათო. ეს მოხუცებულები ვალდებულნი იყვნენ თურმე, რომ სულ ცოტა კვირაში ოთხჯერ თეატრებში, კონცერტებზე და ეკკლესიებში ევლოთ.

ნიუ-იორკის ერთს ტანისამოსის გამყიდველს შემდეგი საშუალება მოუგონია მუშტრის მისაზიდავად. თავის ხარჯით ჯვარი გადაუწერია ერთის მეტად ღარიბ და უშემწეო ახალგაზდა ვაჟისა და ყმაწვილ ქალისათვის ტანისამოსის მაღაზიის ფანჯარასთან. ახალგაზდათა ტანისამოსი და ძვირფასი საჩუქრები ადრევე იყო თურმე მაღაზიის ფანჯარაში გამოფენილი და საზოგადოებას ეს აჩირებული ქორწინება გაზეთებით ეუწყა. ქორწილის დღეს მთელი ის ქუჩა, სადაც მაღაზია იყო, ხალხით ავსებულა. სამეფოს იმავე მაღაზიის მშვენიერი ტანისამოსი სცმია. პასტორ ნეიმანს მაღაზიის ფანჯარაში გადაუხდია ჯვარ-წერის რიგი და ამის გამო ზემოხსენებულმა ტანისამოსის მაღაზიამ საზოგადოდ დიდი სახელი გაითქვა თურმე.

ერთი ნიუ-იორკის ტკბილეულობის გამკეთებელი გაზეთებში ჰბეჭდავს თურმე გრძელ განცხადებათა. ამ განცხადებებში მოყვანილია სტატისტიკური ცნობანი ერთმანერთის მოკვლასა, დასახიჩრებასა და თვით-მკვლელობაზედ, რომელთა რიცხვი წლითი-წლის მატულობს თურმე. ტკბილეულის გამყიდველი ბოლოს იმ აზრს ადგება, რომ საუკეთესო წამალი ბ-ნ მკვლელთათვის, რომელნიც აღელვების დროს სჩადიან ბოროტმოქმედებას, მაშინ, როცა თითონაც არ ახსოვთ თავიანთი თავიო, ნაყინარია (мороженое), რომელიც ამა-და-ამ ფასად იყიდება ჩემს მაღაზიაში და გაფიცხებულს ადამიანს აღელვებულს სისხლს უგრილებსო.

ერთი ლონდონის მოვაჭრე ყოველ კვირა ჰბეჭდავს გაზეთს, რომელიც რვა გვერდისაგან შესდგება. გაზეთში იბეჭდება გამოცანები, მოთხრობები, ლექსები, მოსწრებულნი სიტყვანი და მუქთად ურიგდება საზოგადოებასა. ამ გაზეთის პირველ გვერდზედ დაბეჭდილია თურმე სია იმ საქონლისა, რომელიც იშოვება ზემოხსენებულ ვაჭრის მაღაზიაში.

ერთი ლონდონის დალაქი ქუჩებზედ პატარა ბიჭებს მშვენიერს მიტკლის გახამებულს საყელოებს არიგებინებს. ყოველს საყელოზედ დაბეჭდილია თურმე ამ დალაქის ადრესი.

ერთს ლონდონელ ხარაზს თავის მუშტრებისათვის შემდეგი დაბეჭდილი წერილი დაურიგებია: „ამის ქვემორე ხელის მომწერელი აგერ 29 წელიწადი შესრულდება ოპერაციას უკეთებს ძველს წაღებსა და ჩექმებს; აკეთებს ახალ ფეხებს, გატეხილებს და ნადრძობს აკერებს და დაიარავებულს არჩენს, ისე მშვენივრად, რომ სულ ერთიანად ახალსა ჰხდის თითქმის. იმის რეზინის ფეხთ-საცმელი სილბილით პარლამენტს კანონებს არ ჩამოურჩება. იმის წაღები მხოლოდ იმას გამოადგება, ვინც სიმართლისა და პატიოსნების გზაზედ დადის და ამასთან ეს წაღები მართალსავით ყოველთვის მაგარი და გაუცვეთელია".

მუსიკის ფაბრიკა frader et C°, Murraystreet-ი გაზეთებში შემდეგს აცხადებს თურმე: „ზოგიერთ მალაის კუნძულებზე მცხოვრებელთ ნადირობის დროს უნახავთ ზღვის ნიანგი. ერთს მონადირეს ნიანგისათვის თოფი უსროლია და მუცელში რამდენსამე ალაგას დაუჭრია. ამ დროს მოისმა უეცრად მშვენიერი მელოდია. მალაის კუნძულებზე მცხოვრებელთ პირველში ძალიან გაიცეს თურმე ეს ამბავი, ხოლო შემდეგში გონებაზედ მოვიდნენ, დაყარეს თოფები, წაავლეს ხელი მანდილოსნებს და დაიწყეს ცეკვა. ამ ამბის მთხრობელს მით უფრო გაიცებოდა მელოდიის გაგონება, რომ მელოდია, რომელიც ნიანგის მუცლიდგან მოისმოდა, გიზელის განთქმული ვალსი იყო. ნიანგი ზღვის ნაპირზედ გამოვიდა ვალსის დაკვრით და სული დალია. ევროპიელთ გასჭრეს თურმე ნიანგი, და რა ნახეს! ვალსის საკრავი მუსიკით მოწყობილი საათუნე იყო, რომლის ჩარხსაც, როგორც სჩანს, ტყვია მოხვედროდა და მოძრაობაში მოეყვანა. მერე და როგორ გაჩნდა ნიანგის მუცელში ეს საათუნე? კითხვასა და გამოძიებას დასასრული არა ჰქონდა. საათუნეზედ დაწერილი იყო, რომ ეს საათუნე გაკეთებულია გერმანიის ფაბრიკა თავისუფლებაში, რომელიც ეკუთვნის ოპპენგეიმსა და ამხ. ფრანკფურტს მაინზე. საათუნეზე დაბეჭდილი იყო აგრეთვე პატრონის სახელი. ყველა იმასა კითხულობდა: ნიანგმა საათუნესთან პატრონიც ჩაყლაპა, თუ არაო? ეს საიდუმლოება ჯერაც გამოუცნობი დარჩა. ჩვენ-კი სიხარულით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ამისთანა მუსიკით მოწყობილი საათუნეები იყიდება ტრადერთანა და ამხანაგობასთან Murraystreet.

## დეპეშა

20 ნოემბერი

**პეტერბურგი**. „Новое Время" გვაუწყებს, რომ პეტრეს სამეურნეო აკადემიის ახალად გადაკეთების პროექტი უკვე მზად არისო. განზრახვა აქვთ, სხვათა შორის, რომ ამ აკადემიაში მიიღონ ხოლმე მსმენელებად ისინიც, ვისაც დაბალ სამეურნეო სკოლებში აქვთ დამთავრებული სწავლაო.

„Гражданинъ"-ი გვაუწყებს, რომ გზათა მინისტრმა წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი ახალის დეპარტამენტის, სახელდობრ, სატარიფო დეპარტამენტის დაარსებისა რკინის გზების სატარიფო საქმეთა საწარმოებლად. ხოლო ფინანსთა სამინისტროს გამგებელს წარუდგენია მოხსენება ცალკე სარკინის-გზო კანცელარიის დაარსების თაობაზე. ამ კანცელარიამ უნდა აწარმოვოს ყველა სატარიფო საქმე რკინის გზებისა და ყველა ის საქმეცა, რკინის გზის შესახები, რომელსაც-კი რაიმე დამოკიდებულება აქვს ფინანსთა სამინისტროსთანაო.

**ნოვოჩერკასკი**. გუშინ საღამოს გარდაიცვალა 81 წლის მთავარ-ეპისკოპოსი დონისა, მიტროფანე.

**პარიჟი**. გუშინ, როცა ხელ-ახლად დაიწყო სხდომა პალატისა და სენატისა, გამოაცხადეს, რომ გრევის არავითარი განზრახვა არა აქვს პარლამენტს შეებრძოლოსო. ხვალ გრევი მიჰმართავს პალატებს ეპისტოლეთი და გამოაცხადებს, რა გადაწყვეტილებასაც დაადგა; სამინისტრო-კი, გრევის თხოვნით, ჯერ ისევ თავის თანამდებობის აღსრულებას თავს არ დაანებებს. ამ ამბის შემდეგ მოისმა ტაში-კვრა და სხდომა გადაიდო დღევანდლამდე. ამასობაში დიდძალი ხალხი შეიკრიბა პალატის წინ; რიცხვი ხალხისა 5,000-მდე იქმნებოდა. ამის გამო და იმ მიზეზითაც, რომ ხალხი ჰღელავდა და შფოთავდა, რესპუბლიკის გვარდიამ და პოლიციამ შეერთებულის ძალით შეუტია ბრბოს და გაჰფანტა. დერულედი გაუძღვა აუარებელს ხალხს და გაემართა ჯერ საბჭოსაკენ და შემდეგ სენატისაკენ. მერე სიტყვა წარმოსთქვა და ისურვა სიცოცხლე და დღეგრძელობა გრევისა და ბულანჟესი. ბრბო ყვიროდა: „არ გვინდა ფერრი, გადადგეს სამსახურიდამ". პოლიციამ განფანტა ბრბო. დერულედმა არ გაუგონა პოლიციას და ამიტომ შეიპყრეს, მაგრამ ისევ მალე გაანთავისუფლეს. განთავისუფლების შემდეგ დერულედი წავიდა „Intrasigeant"-ის რედაქციაში პროტესტის დასაწერად. პალატის მეორე სხდომის შემდეგ შეკრბენ მინისტრები და გამოუცხადეს გრევის, რომ თქვენ უნდა გადადგეთ სამსახურიდამაო. გრევიმ უპასუხა, რომ თანახმა ვარ, მაგრამ პასუხის-მგებელი-კი პალატა იქმნება, რადგან მე-კი არა, პალატამ დაჰბადა დღევანდელი ყოფაო.

**პარიჟი**, ნაშუაღამევის 2 საათი და 25 წუთი. პალატებში წაიკითხეს ეპისტოლე პრეზიდენტის გრევისა; ეპისტოლე ასე იყო შედგენილი: „ვიდრე ისეთი დაბრკოლებანი დამხვდებოდა ხოლმე გზაზე, როგორც მაგალითად დიდის გაჭირვებით შედგენა ახალის სამინისტროსი იმ დროს, როცა საპოლიტიკო მოღვაწენი, რესპუბლიკის მიერ მოწოდებულნი ჩემთან ერთად სამსახურად, უარობდნენ ხოლმე, მე კიდევ ჩემს ალაგს თავს არ ვანებებდი, მაგრამ გუშინდელი კენჭის ყრა პალატებისა-კი იმის ნიშანია, რომ მე უნდა თავი დავანებო სამსახურს. მე შემიძლიან, უფლება მაქვს და ვალდებულიცა ვარ დავრჩე პრეზიდენტად; მაგრამ კეთილ-გონიერება და სიყვარული სამშობლოსი მაიძულებს ჩამოვდგე გზიდამ, რათა ამ სახით აცილებულ იქმნას უსიამოვნობა დღევანდელ პირობათა შორის. დაე, პასუხი აგონ იმათ, ვინც ტვირთულობს პასუხის-გებას და მე-კი საფრანგეთს შევჩივლებ. საფრანგეთი იტყვის, რომ ცხრა წლის განმავლობაში, რაც ხანი ვიყავ პრეზიდენტად, მე მიანიჭე მას მშვიდობა, წესიერება და თავისუფლება; რომ მე ვტოვებ ჩემს ქვეყანას შეჭურვილ ევროპაში იმ სახით, რომ შეუძლიან დაიცვას თავისი სახელი და უფლებანი; რომ მე მოვახერხე და კეთილ-გონიერების გზაზე შევაყენე რესპუბლიკა. საფრანგეთი იტყვის, რომ ყველა ამის მაგიერ მე წამერთვა პრეზიდენტობა, რომელიც მომანდო ერმა და ქვეყანამ. ვანებებ თავს საპოლიტიკო მოღვაწეობას და ვისურვებ, რომ ჩემდა მომართული სასჯელი რესპუბლიკას არ შეეხოს და რომ რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდეს იმ განსაცდელიდამ, რომელშიაც შთაავდეს. აი ჩემი გადადგომის ქაღალდი შემომიტანია და მომირთმევია პალატისათვის".

**პარიჟი**. პრეზიდენტის ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ სენატმა და პალა-

ტამ გადასდეს თავისი სხდომანი სამშაბათამდე. არაფერი საიმისო ამ დროს არა მომხდარა-რა. კონგრესი მოწოდებულია სახვალიოდ ვერსალში, 2 საათზე.

კიოლნი. „კიოლნის გაზეთში“ დაბეჭდილია წერილი ედუარდ ბოშესი, რომელიც რწმუნებული კაცია ორლეანელ პრინცებისა. წერილი შეეხება იმ ყალბ საბუთების გამოქვეყნებას, რომელიც ვითომ კიოლნის გაზეთმა იპოვა. ამ წერილში სწერია: „არც ერთს ორლეანელ პრინცს და არც არავის სხვას, ვისაც-კი პატივი აქვს ეს სახელი ატაროს და ვის მოთავედაც ითვლება გრაფი პარიჟისა, არ მიუღია არავითარი მონაწილეობა იმ საქმეებში, რომლის თაობაზედაც თქვენი გაზეთი ლაპარაკობს. ეს პრინცები ყოველთვის მოშორებულნი იყვნენ და დღესაც მოშორებულნი არიან იმ საქმეებს, რომელიც ბალკანის ნახევარ-კუნძულზე სწარმოებს“.

## 21 ნოემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია მინისტრთა კომიტეტის დადგენილობა, რომლის ძალითაც უცხოელს გრაფ დე-ლა ტურს და ვაჰარს ნობელს ნება ეძლევათ გაჰმართონ თავიანთი ქარხნები ამაფეთქებელ ნივთიერებათა. როგორ და სად უნდა გაჰმართონ ქარხნები, ამას მიუწერენ ის სამინისტროები, რომელთაც გაცნობილი აქვთ ეს საქმე.

გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, ვითომ მთავრობასა და რკინის გზათა უმთავრესს საზოგადოებას შორის მორიგება ჩამოვარდა; საზოგადოებამ უნდა აძლიოს ხაზინას 15 მილლიონი; სამაგიეროდ სამი გზა თერთმეტის წლის ვადით უნდა დარჩეს „საზოგადოების“ ხელში.

გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ კეროსინზე ბაქის შემოღების პროექტი მიუღია ეკონომიის დეპარტამენტს. ეს პროექტი ამ მოკლე ხანში გადაეცემა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს.

ხარკოვი. ორიოლის ბანკის საქმის გამო შემდეგი განაჩენი დაუდვიათ: ავილოვი უფლების ჩამორთმევით უნდა გაიგზავნოს საცხოვრებლად ტომსკის გუბერნიაში; ბოლტინი და კუზიშკინი გამორიცხულნი უნდა იქმნან სამსახურიდგან სასამართლოს წესით, მაგრამ უმაღლესის მანიფესტის ძალით ისინი ჯერ დასჯილნი არ არიან. სამოქალაქო ძიება საკონკურსო მართველობისა ორი მილიონი და 31 ათასი მანეთია. ავილოვი განთავისუფლებულია იმ დრომდე, ვიდრე განაჩენი ძალაში შევა.

პარიჟი. გუშინ დეპუტატთა პალატის წინ მოუხდენიათ მანიფესტაციები. ლუიზა მიშელს მოუნდომნია პალატაში შესვლა, მაგრამ დაუტუსაღებიათ. ხალხი რამდენისამე დეპუტატებით და ჟურნალისტებითურთ გაემართა საბჭოსაკენ და სამუნიციპალო საბჭოს წინადადება მისცა, ერთად წავიდეთ პალატაში და წინაამდეგობა გავუწიოთ ფერრის არჩევანსაო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და ყრილობაზე, რომელზედაც დაესწრნენ 340 რესპუბლიკანელი დეპუტატი და სენატორები, კენჭი უყარეს პრეზიდენტის კანდიდატებს. ყველაზე მეტი ხმა მიიღო ფლოკემ—101, ყველაზე ნაკლები ფერრიმ—19. როცა ხელ-ახლად გამართეს არჩევანი, ყველაზე მეტი ხმა მიიღო ფრეისინემ—190, ყველაზე ნაკლები ფერრიმ—11.

ბულანჟე დაბრუნდა თავის ადგილზე.

დუბლინი. აქაურს ლორდ-მერის მიუსაჯეს ორის თვის ვადით დამწყვდევა იმისათვის, რომ გამოაცხადა ანგარიში ეროვნულის ლიგის აკრძალულ კრებისა.

ვერსალი, ხუთი საათი და 30 წუთი, ნაშუადღევისა. კონგრესზე, როცა პირველად კენჭი ჰყარეს, 852 ხმიდგან სადი-კარნომ მიიღო—303, ფერრიმ—212, სოსიემ—148, ფრეისინემ—76, აპპერმა—72, ბრისონმა—26, ფლოკემ—5, პიამ—2, დე-ლაფორჟმა—2, პასტერმა—2 და სპიულერმა—1. საჭიროა ხელ-მეორედ კენჭის ყრა. ფერრის უთქვამს კონგრესის ტალანში, რომ უარ-ვყოფ ჩემს კანდიდატობას სადი-კარნოს სასარგებლოდაო. ფერრიმ და ფრეისინემ უარ-ჰყვეს თავიანთი კანდიდატობა სადი-კარნოს სასარგებლოდ, რომლის ამორჩევა ძალიან მოსალოდნელია.

## 22 ნოემბერი

პარიჟი. კონგრესზე მეორედ და საბოლოოდ კენჭის ყრის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 833 კაცმა, სადი-კარნოს ამოუვიდა 616 კენჭი, სოსიეს—188, ფერრის—70, ფრეისინეს—6. სადი-კარნო, რომელიც რამდენჯერმე იყო მინისტრად საჯარო მუშაობათა და ფინანსთა და რომელიც ეკუთვნის მემარცხენეთა შუაგულს დასს, ამორჩეულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტად. სადი-კარნოს მიულოცეს ეს და იმან ყველას მადლობა გამოუცხადა ნდობისათვის. ეს ნდობა ამტკიცებს, რომ თქვენ გსურთ მშვიდობა და თანხმობა და სარესპუბლიკო საფრანგეთიც ამას არის მოწადინებულიო. ეგევე ნდობა ამტკიცებს, რომ ქვეყნის წარმომადგენელთ შეუძლიანთ ძმურად მოიქცნენ, რათა დაიცვან კონსტიტუცია და უზრუნველ ჰყონ და დაბადონ მტკიცე და მხნე მთავრობა, ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლოს მიანიჭოს ერსა შინ თავისუფლება, გარედ სახელი და ამასთან ყოველივე სიკეთე, რომელსაც საფრანგეთი ელის რესპუბლიკისაგანაო.

გრევი გასულა ელისეს სასახლიდგან სამს საათსა და ნახევარზე.

პარიჟში დიდი მოძრაობაა, მაგრამ ყველა გონება დამშვიდებულნი არიან. ყველანი ერთმანერთს ულოცავენ პრეზიდენტის მშვიდობიანად ამორჩევას.

ბრიუსელი. გაზეთი „Nord“-ი უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ რუსეთი ძალიან ხელს უშლის ეგვიპტის კონვენციასაო. რუსეთის მმართებლობას არავითარი საბუთი არა აქვს სთქვას რამე ამ საქმის შესახებ, სანამ ოსმალეთი თავის აზრს არ გამოაცხადებსო.

## 23 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, „Судебный Вѣстникъ“-ის რედაქტორად ნამყოფი, დუმაშევსკი.

„Новости“ გვაუწყებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ცალკე კომისიამ შეიმუშავა პროექტი პურის გადატან-გადმოტანის ტარიფისა. გადასატან გადმოსატანი ფასი უნდა მომატებულ იქმნას, ანგარიშით 5 მილიონამდე და ეს ფული ხაზინაში უნდა შევიდეს უკლებლად.

პარიჟი. სადი-კარნო დაბინავდა ელისეს სასახლეში და მიიღო გრევი და მრავალი სხვა საპოლიტიკო მოღვაწენი.

რუვიეს სამინისტრო კვლავ დარჩება ახალ კაბინეტის შედგენამდე.

რუსეთისა და გერმანიის ელჩებმა ინახულეს გარეშე საქმეთა მინისტრი და აუწყეს, რომ ჩვენი მთავრობანი მოხარულნი არიან კრიზისის მშვიდობიანად გათავების გამოო.

პარიჟი მშვიდობიანად არის.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 ნოემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 2 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 180¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — › | — › | 278 |
| — მეორისა | — › | — › | 247 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის სურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

24 დღე ხამშაბათი. დიდის ქალწ.-მოწ. ეკატერინასა და ავგუსტასი დედოფ. კათოლ. წმ. იოანესი. სომეხ. წმ. ლუკიანე მღვდელისა და სხვათა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 4—30. მთვარე 22 დღისაა.

25 დღე ოთხშაბათი. წმ. კლიმენტისა. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ეკატერინესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—13, ჩადის 4—30. მთვარე 23 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. წმ. ალიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ევის. ალმსარ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. კლიენტისა და ბაგრატ ეპისკოპოსისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 24 დღისაა.

27 დღე პარასკევი. მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. საღამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2¹/₂ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3¹/₂ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ძროხის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


### კერძო განცხადებანი

КОФЕ ФАБРИКИ С. СІУ и К° ЛЮБИТЕЛЕЙ

(50—)

### ფეხის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა, 1-ლ კლასიკურის გიმნაზიის პირდაპირ.

მაქვს პატივი განვუცხადო პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღე დიდ-ძალი მზა-მზარეული ტანისამოსი მამა-კაცთა და პატარა ყმაწვილებისათვის. ტანისამოსები საზამთროა და საშემოდგომო, შეკერილია უკანასკნელს მოდაზე. ფასი ტანისამოსებისა ზომიერია და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.

გ. ხუდავერდიანცი

(10—8)



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 › | 5 „ | 5 „ 25 › |
| 10 „ | 8 „ 75 › | 4 „ | 4 „ 75 › |
| 9 „ | 8 „ — › | 3 „ | 3 „ 50 › |
| 8 „ | 7 „ 25 › | 2 „ | 2 „ 75 › |
| 7 „ | 6 „ 50 › | 1 „ | 1 „ 50 › |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Дов. цен. Тиф. 23 ноября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.